585/
1977/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (434)

1977 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 3 (434) მარტი 1977 წელი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

23. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.**
24. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა .დ. ჩიკვაიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.**
25. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ბ. გადელიას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.**
26. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე,**
27. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ.**
28. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.**
29. **ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ო. მ. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.**

35640

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. თოდრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ჯ. მენაღარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ა. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ შ. მ. გედევანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. კორძახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. რ. ხვედელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობები.

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. გ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი დავითის ძე **თავამაიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 1 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 ამხ. ა. დ. ჩიკვაიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ალექსანდრე დავითის ძე **ჩიკვაიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 1 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 ამხ. გ. ბ. გადელიას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გივი ბაგრატის ძე **გადელია** საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 31 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება „საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 16 მარტი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977
წლის 16 მარტის ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ

1. ამ დებულების მოქმედება ვრცელდება ეკლესიებზე, რელიგიურ ჯგუფებზე, განშტოებებზე, რელიგიურ მიმართულებებსა და ყველა დასახელების სხვა საკულტო გაერთიანებებზე.

2. ყველა კულტის მორწმუნე მოქალაქეთა რელიგიური გაერთიანებანი რეგისტრაციაში ტარდება როგორც რელიგიური საზოგადოებები ან მორწმუნეთა ჯგუფები.

თითოეულ მოქალაქეს შეუძლია იყოს მხოლოდ ერთი რელიგიურ-საკულტო გაერთიანების (საზოგადოების ან ჯგუფის) წევრი.

3. რელიგიური საზოგადოება არის ერთი და იგივე კულტის, სარწმუნოების, მიმართულების ან განშტოების 18 წლის ასაკს მიღწეულ მორწმუნე მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება არანაკლებ 20 პირის შემადგენლობით, რომლებიც გაერთიანდნენ, რათა ერთობლივად დაიკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებანი.

მორწმუნე მოქალაქეებს, რომლებსაც მცირერიცხოვნობის გამო არ შეუძლიათ შექმნან რელიგიური საზოგადოება, უფლება ეძლევათ შექმნან მორწმუნეთა ჯგუფი.

რელიგიურ საზოგადოებებს უფლება აქვთ შეიძინონ რელიგიური კულტის საგნები, საეკლესიო ნივთები, სატრანსპორტო საშუალებანი, იჯარით აიღონ, ააშენონ ან იყიდონ ნაგებობანი თავიანთი საჭიროებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. რელიგიურ საზოგადოებას ან მორწმუნეთა ჯგუფს შეუძლია თავის საქმიანობას შეუდგეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო.

გადაწყვეტლებას რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის რეგისტრაციის და სამლოცველო შენობის გახსნის შესახებ მიიღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

5. რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისათვის მისი დამფუძნებელნი, — არანაკლებ 20 კაცის შემადგენლობით, რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისა და სამლოცველო შენობის (ეკლესიის, მეჩეთის, სინაგოგის და ა. შ.) გახსნის შესახებ შუამდგომლობას გზავნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მორწმუნეთაგან მიღებულ შუამდგომლობას თავისი დასკვნით გაუგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

6. რელიგიური ჯგუფის რეგისტრაციისათვის ამ ჯგუფის ყველა მორწმუნის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა წარედგინება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ამ შუამდგომლობას თავისი დასკვნით გაუგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღებენ რა მასალებს რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის რეგისტრაციის შესახებ, ერთი თვის ვადაში განიხილავენ მათ და თავიანთი წარდგინებით გაუგზავნიან ნებართვისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიების საქმეთა საბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის რეგისტრაციის მასალების განხილვის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის რეგისტრაციის ანდა რეგისტრაციაზე უარის შესახებ და აცნობებს მათ ამის თაობაზე.

8. რელიგიური გაერთიანებების, სამლოცველო სახლებისა და შენობების აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს მიერ, რომელიც განსაზღვრავს რელიგიური საზოგადო-

ების ან მორწმუნეთა ჯგუფის, მათი აღმასრულებელი და სარევიზიო ორგანოების და კულტის მსახურთა შესახებ შესაბამისი მონაცემების [illegible] წესს.

9. რელიგიური საზოგადოებების ან ჯგუფების წევრთა სიებში შეიძლება შეტანილ იქნენ მხოლოდ ის მორწმუნენი, რომელთაც თანხმობა განაცხადეს ამაზე.

10. რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მორწმუნეებს, რომლებმაც შეადგინეს რელიგიური საზოგადოება, შეუძლიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიიღონ უფასო სარგებლობაში სპეციალური სამლოცველო შენობა იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წესის შესაბამისად, რომელსაც რელიგიური საზოგადოება დაუდებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

გარდა ამისა, მორწმუნეებს, რომლებმაც შეადგინეს რელიგიური საზოგადოება, ან მორწმუნეთა ჯგუფს სალოცავად შეკრებისათვის შეუძლიათ ისარგებლონ აგრეთვე სხვა შენობებით, რომელთაც მათ იჯარით მისცემენ ცალკეული პირები ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები. ამ შენობებზე ვრცელდება ყველა ის წესი, რასაც ითვალისწინებს ეს დებულება სამლოცველო შენობის თაობაზე; ხელშეკრულებებს ასეთი შენობებით სარგებლობის უფლების შესახებ დებენ ცალკეული მორწმუნეები თავიანთი პირადი პასუხისმგებლობით. გარდა ამისა, ეს შენობები უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ წესებს.

თითოეულ რელიგიურ საზოგადოებას ან მორწმუნეთა ჯგუფს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთი სამლოცველო შენობით.

11. საკულტო ქონების მართვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული გარიგებანი, როგორიცაა: ხელშეკრულებანი დარაჯების დაქირავების შესახებ, შეშის მიწოდების, სამლოცველო შენობისა და საკულტო ქონების რემონტის თაობაზე, რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების და ამა თუ იმ რელიგიური კულტის მოძღვრებასთან და ადათწესებთან მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებული სხვა ამგვარი მოქმედების შესასრულებლად ქონებისა და პროდუქტების შეძენის შესახებ, აგრეთვე სალოცავად შეკრებისათვის შენობათა დაქირავების შესახებ შეიძლება დადონ ცალკეულმა მოქალაქეებმა, რომლებიც არიან რელიგიურ საზოგადოებათა აღმასრულებელი ორგანოების წევრები ან მორწმუნეთა ჯგუფების რწმუნებულები.

ამგვარ გარიგებებს არ შეიძლება საფუძვლად ედოს თუნდაც კულტთან დაკავშირებული, მაგრამ სავაჭრო და სამრეწველო ხასიათის სახელშეკრულებო ურთიერთობანი, როგორიცაა: სანთლის ქარხნების, რელიგიურ-ზნეობრივი წიგნების დასაბეჭდად სტამბების იჯარით აღება და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. რელიგიური საზოგადოებებისა და მორწმუნეთა ჯგუფების საერთო კრებები (გარდა სალოცავად შეკრებისა) იმართება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

13. საკულტო ქონების მართვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ფუნქციების უშუალო შესრულებისათვის (მუხ. 11), აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობის მიზნით, რელიგიური გაერთიანებანი თავიანთ წევრთა რიცხვიდან მორწმუნეთა საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით ირჩევენ აღმასრულებელ ორგანოებს — რელიგიურ საზოგადოებებში სამი კაცის შემადგენლობით, ხოლო მორწმუნეთა ჯგუფში — ერთ წარმომადგენელს.

14. რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოებს უფლება ეძლევათ აცილება მისცენ რელიგიური საზოგადოების ან მორწმუნეთა ჯგუფის აღმასრულებელი ორგანოს ცალკეულ წევრებს.

15. საკულტო ქონების და წილგროვების ან ნებაყოფლობით შეწირულობათა გზით მიღებული ფულადი თანხების შესამოწმებლად რელიგიურ საზოგადოებებს მორწმუნეთა საერთო კრებაზე თავიანთ წევრთა რიცხვიდან შეუძლიათ აირჩიონ სარევიზიო კომისია არა უმეტეს სამი წევრის შემადგენლობით.

16. რელიგიური საზოგადოებებისა და მორწმუნეთა ჯგუფების აღმასრულებელი და სარევიზიო ორგანოების კრებები (სხდომები) იმართება ხელისუფლების ორგანოებისათვის შეტყობინებისა ან მათი ნებართვის გარეშე.

17. რელიგიურ გაერთიანებებს ეკრძალებათ:

ა) შექმნან ურთიერთდამხმარე სალაროები, კოოპერატივები, საწარმოო გაერთიანებები და საერთოდ ისარგებლონ თავიანთ განკარგულებაში არსებული ქონებით რაიმე სხვა მიზნებისათვის, გარდა რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა;

ბ) გაუწიონ მატერიალური დახმარება თავიანთ წევრებს;

გ) მოაწყონ როგორც სპეციალური ბავშვთა, ახალგაზრდათა, ქალთა სალოცავი და სხვა შეკრებები, ისევე საერთო ბიბლიის, ლიტერატურის, ხელსაქმის, შრომის, რელიგიის შემსწავლელი და სხვა ამგვარი შეკრებები, ჯგუფები, წრეები, აგრეთვე ექსკურსიები და ბავშვთა მოედნები, გახსნან ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, მოაწყონ სანატორიუმები და ორგანიზება გაუკეთონ სამკურნალო დახმარებას.

სამლოცველო შენობებსა და სადგომებში შეიძლება ინახებოდეს მხოლოდ წიგნები, რაც საჭიროა ამა თუ იმ კულტის შესასრულებლად.

18. არ დაიშვება რომელიმე რელიგიური სარწმუნოების სწავლება სასწავლებლებში. რელიგიური სარწმუნოების სწავლება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებში, რომლებიც გაიხსნება დადგენილი წესით.

19. კულტის მსახურების, რელიგიური მქადაგებლების, დამრიგებლებისა და სხვათა საქმიანობის რაიონი განისაზღვრება მათი რელიგიური გაერთიანების წევრების საცხოვრებელი ადგილით და შესაბამისი სამლოცველო შენობის ადგილსამყოფელით.

კულტის მსახურების, რელიგიური მქადაგებლების და დამრიგებლების საქმიანობა, რომლებიც მუდმივად ემსახურებიან ორ ან რამდენიმე რელიგიურ გაერთიანებას, განისაზღვრება ტერიტორიით, რომელზეც მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ რელიგიურ გაერთიანებებში შემავალი მორწმუნეები.

აკრძალულია იმ კულტის მსახურების: მღვდლების, პრესვიტერეპისა და სხვათა საქმიანობა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არ არიან რეგისტრირებულნი; აგრეთვე სხვა პირთა მიერ რაიმე რელიგიური წეს-ჩვეულების ან სხვა საკულტო ცერემონიების შესრულება.

კულტის მსახურებს ეკრძალებათ ჩაერიონ რელიგიურ გაერთიანებათა აღმასრულებელი ორგანოების სამეურნეო-საფინანსო ფუნქციებში.

20. რელიგიურ საზოგადოებებსა და მორწმუნეთა ჯგუფებს შეუძლიათ მოიწვიონ რელიგიური ყრილობები და თათბირები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს ნებართვით.

კრებებზე, ყრილობებზე. თათბირებზე არჩეული რელიგიური ცენტრები, სასულიერო სამმართველოები და სხვა რელიგიური ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ მხოლოდ მორწმუნეთა გაერთიანებების რელიგიურ (კანონიკურ) საქმიანობას. მათი შენახვის ხარჯებს შეადგენს სახსრები, რომელთაც რელიგიური გაერთიანებები გადარიცხავენ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე.

რელიგიურ ცენტრებს, საეპარქიო სამმართველოებს უფლება აქვთ აწარმოონ საეკლესიო ნივთები, რელიგიური კულტის საგნები და მიჰყიდონ ისინი მორწმუნეთა საზოგადოებებს, აგრეთვე შეიძინონ სატრანსპორტო საშუალებანი, იჯარით აიღონ, ააშენონ და იყიდონ ნაგებობანი თავიანთი საჭიროებისათვის კანონით დადგენილი წესით.

21. რელიგიური საზოგადოებებისა და ჯგუფების, აგრეთვე რელიგიური ყრილობების აღმასრულებელ ორგანოებს, საეპარქიო სამმართველოებს შეუძლიათ ისარგებლონ შტამპებით, ბეჭდებითა და ბლანკებით, რომლებზეც აღნიშნულია მათი დასახელება, მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ხასიათის საქმეებზე. ეს შტამპები, ბეჭდები და ბლანკები არ შეიძლება შეიცავდეს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის დადგენილ ემბლემებსა და ლოზუნგებს.

22. კულტის შესრულებისათვის აუცილებელი ქონება, რომელიც ხელშეკრულებით გადაცემულია რელიგიურ საზოგადოებაში შემავალ მორწმუნეთათვის, ასევე მათ მიერ ახლად შეძენილი ან კულტის საჭიროებისათვის შეწირული ქონება, ნაციონალიზებულია; იგი აღირიცხება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მორწმუნეთა სარგებლობაშია.

23. სადგომები, რომლებიც სპეციალურად დარაჯის საცხოვრებელს წარმოადგენს და სამლოცველო შენობის ფარგლებში ან სამლოცველო შენობის მახლობლად მდებარეობს, სხვა საკულტო ქონებასთან ერთად ხელშეკრულებით გადაეცემა მორწმუნეებს უფასო სარგებლობაში.

24. სამლოცველო შენობები და საკულტო ქონება რელიგიურ საზოგადოებაში შემავალ მორწმუნეთა სარგებლობაში გადაიცემა იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წესის შესაბამისად, რომელსაც რელიგიური საზოგადოება დაუდებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელს.

25. კულტის შენობას და მასში არსებულ ქონებას მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლისაგან ხელშეკრულებით მიიღებს რელიგიური საზოგადოების არანაკლებ 20 წევრი, რათა ეს ქონება გადაიცეს ყველა მორწმუნის სარგებლობაში.

26. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ პირები, რომლებმაც მიიღეს კულტის შენობა და ქონება სარგებლობაში (მუხ. 25), ვალდებულნი არიან:

ა) დაიცვან და გაუფრთხილდნენ მას, როგორც მათთვის მინდობილ სახელმწიფო ქონებას;

ბ) შეაკეთონ კულტის შენობა, აგრეთვე გასწიონ ამ ქონების მფლობელობასთან და სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა: გათბობის, დაზღვევის, დაცვის ხარჯები, გადასახადების შეტანა, გამოსაღები და ა. შ.;

გ) ამ ქონებით ისარგებლონ მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

დ) აანაზღაურონ ქონების გაფუჭებით ან დანაკლისით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი;

ე) იქონიონ მთელი საკულტო ქონების საინვენტარო აღწერილობა, რომელშიც შეიტანენ ყველა ახლად მიღებულ (ნაყიდი, შემოწირული, სხვა საშლოცველო შენობებიდან გადმოცემული და ა. შ.) რელიგიური კულტის საგნებს, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეებს არ ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლებით, და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს იმ აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვითა და თანხმობით, რომლის სახელითაც დადებულია ხელშეკრულება, აღწერილობიდან ამოიღონ უვარგისი საგნები;

ვ) პერიოდულ შემოწმებათა ჩასატარებლად და ქონების დასათვალიერებლად დაუბრკოლებლად დაუშვან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო ან სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების რწმუნებულები ყოველ დროს, გარდა იმ დროისა, როდესაც რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულება ხდება.

27. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ საგანგებოდ აღრიცხული ისტორიული, მხატვრული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე სამლოცველო შენობები გადაიცემა იმავე წესითა და საფუძველზე, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს დაცული ხელოვნებისა და წარსულის ძეგლთა აღრიცხვისა და დაცვის დადგენილი წესები.

28. ამათუ იმ სარწმუნოების, მიმართულებისა ან განშტოების ყველა ადგილობრივ მცხოვრებს უფლება აქვს ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას საკულტო შენობისა და ქონების სარგებლობაში მიღების შესახებ საკულტო ქონების გადაცემის შემდეგაც და ამრიგად, იძენს უფლებას მონაწილეობა მიიღოს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონების მართვაში იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც თავდაპირველად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას.

29. ყველა პირს, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, შეუძლია მოხსნას თავისი ხელმოწერა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე, რის შესახებაც შესაბამისი განცხადება უნდა შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მას იმ პასუხისმგებლობისაგან, რომ მთლიანად დაეცვა და შეენარჩუნებინა ქონება აღნიშნული განაცხადების შეტანამდე.

30. რელიგიური კულტის შენობები სავალდებულო წესით უნდა იქნეს დაზღვეული ხელშეკრულების დამდებ პირთა ხარჯზე მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოდ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს შენობა.

დამწვარი სამლოცველო შენობების სადაზღვევო თანხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებული იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოსთან, გამოიყენება დამწვარი სამლოცველო შენობების აღსადგენად ან იმ რაიონის, ქალაქის კულტურული საჭიროებისათვის, სადაც მდებარეობდა დამწვარი სამლოცველო შენობა.

31. თუ მორწმუნეთაგან არ შემოვა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მათ რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიეცეთ სარგებლობაში საკულტო შენობები და ქონება ამ დებულების 24-30-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განსაზღვრავენ სამლოცველო შენობისა და მასში არსებული მთელი ქონების შემდგომ დანიშნულებას ამ დებულების 35-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად.

32. მორწმუნეთა სარგებლობაში არსებული საკულტო შენობის გადაცემა სხვა საჭიროებისათვის (სამლოცველო შენობის დახურვა) დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე, თუ ეს შენობა აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება ეცნობება მორწმუნეებს, რომლებმაც შეადგინეს რელიგიური საზოგადოება.

33. ნაციონალიზებული ან მოქალაქეთა პირადი საკუთრების შენობების რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებისათვის იჯარით აღების თაობაზე დადებული ხელშეკრულებანი (მუხ. 10, ნაწ. 2) შეიძლება სასამართლო წესით მოიშალოს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

34. სამლოცველო შენობების დახურვა შესაბამის შემთხვევაში ხდება მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

სამლოცველო შენობების დახურვა წარმოებს რაიონული, საქალაქო საფინანსო განყოფილებისა და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელთა, აგრეთვე ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლის თანდასწრებით.

35. სამლოცველო შენობის დახურვისას საკულტო ქონება შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ფარჩის ყველა საგანი, აგრეთვე ძვლები და ა. შ.) უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ფონდში და გადაეცეს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების განკარგულებაში ან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანოთა განკარგულებაში, თუ ეს საგნები იყო მათ აღრიცხვაზე;

ბ) ისტორიული, მხატვრული, სამუზეუმო ღირებულების ყველა საგანი გადაეცემა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანოებს;

გ) დანარჩენი საგნები (ხატები, სამოსელი, დროშები, საბურველი და ა. შ.), რომელთაც სპეციალური დანიშნულება აქვთ კულტის შესრულებისას, მიეცემათ მორწმუნეებს იმავე კულტის სხვა სამლოცველო შენობებში გადასატანად; ეს საგნები შეიტანება საკულტო ქონების აღწერილობაში საერთო საფუძველზე;

დ) ყოველდღიური ხმარების საგნები (ზარები, ავეჯი, ხალიჩები, ჭაღები და ა. შ.) უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ფონდში და გადაეცეს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების განკარგულებაში ან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანოთა განკარგულებაში, თუ ეს საგნები იყო მათ აღრიცხვაზე;

ე) იმ შემთხვევაში, თუ სამლოცველო შენობის დახურვის შემდეგ საზოგადოება განაგრძობს არსებობას, ეგრეთ წოდებული გარდამავალი ქონება, ფული, აგრეთვე საკმეველი, სანთლები, ზეთი, კოშტი, ღვინო, შეშა და ნახშირი, რომელთაც გარკვეული მიზნობრივი დანიშნულება აქვთ ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად ან კულტის რელიგიურ წეს-ჩვეულებათა აღსასრულებლად, დატოვებულ უნდა იქნეს

36. სამლოცველო შენობები, რომლებიც უნდა დაიხუროს და რომელთაც სახელმწიფო არ იცავს როგორც კულტურის ძეგლებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს და გადაკეთდეს სხვა მიზნებისათვის ან დაინგრეს მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

37. რელიგიური გაერთიანებები შეიძლება რეგისტრაციიდან მოიხსნან მათ მიერ კულტების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციიდან მოხსნა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

38. იმ შემთხვევაში, თუ რელიგიური გაერთიანება არ დაიცავს ხელშეკრულებას სამლოცველო შენობით ან საკულტო ქონებით სარგებლობის შესახებ, ეს ხელშეკრულება შეიძლება დაიროღვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

39. მორწმუნეთა ძალებითა და სახსრებით ახალი სამლოცველო შენობების მშენებლობა ცალკეულ შემთხვევებში დაიშვება რელიგიური საზოგადოებების თხოვნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს ნებართვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

40. თუ სამლოცველო შენობის სიძველის გამო მოსალოდნელია მისი მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამონგრევა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს წინადადება მისცეს რელიგიური გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოს ან მორწმუნეთა ჯგუფის წარმომადგენელს დროებით სპეციალური ტექნიკური კომისიის მიერ შენობის გასინჯვამდე, შეწყვიტოს მასში წირვა-ლოცვა და მორწმუნეთა შეკრება.

41. თუ ისტორიული, მხატვრული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე საკულტო შენობა დაცვას ექვემდებარება, როგორც კულტურის ძეგლი, წინადადება სამლოცველო შენობის დახურვის შესახებ ეგზავნება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

42. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შექმნილ ტექნიკურ კომისიაში (მუხ. 40) მიიწვევა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელი.

43. ტექნიკური კომისიის მიერ გამოკვლევის აქტში ჩამოყალიბებული დასკვნა სავალდებულოა და უნდა შესრულდეს.

44. თუ ტექნიკური კომისია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელია საკულტო შენობის ჩამონგრევა, შედგენილ აქტში უნდა აღინიშნოს ასაღებია თუ არა შენობა, თუ საკმარისია მისი მხოლოდ სათანადოდ შეკეთება. უკანასკნელ შემთხვევაში აქტი ზუსტად განსაზღვრავს თუ რა შეკეთება სჭირდება სამლოცველო შენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას და ვადას, რაც საკმარისია შეკეთებისათვის. შეკეთების დამთავრებამდე კი რელიგიურ გაერთიანებებს უფლება არა აქვთ მოაწყოს შენობაში არც ტაძარი, არც რაიმე სხვა შეკრება.

45. იმ შემთხვევაში, თუ მორწმუნეები უარს განაცხადებენ გამოკვლევის აქტში აღნიშნული შეკეთების წარმოებაზე, საკულტო შენობითა და ქონებით სარგებლობის თაობაზე მათთან დადებული ხელშეკრულება უნდა მოიშალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

46. თუ ტექნიკური კომისია მიიჩნევს, რომ შენობა ასაღებია, ამ შენობის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე მორწმუნეებთან დადებული ხელშეკრულება მოიშლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენის საფუძველზე.

47. რელიგიურ საზოგადოებებსა და მორწმუნეთა ჯგუფების წევრებს უფლება აქვთ აწარმოონ წილგროვება და შეაგროვონ ნებაყოფლობითი შეწირულობანი სამლოცველო შენობაში აღნიშნული რელიგიური გაერთიანების წევრებს შორის მხოლოდ სამლოცველო შენობის, საკულტო ქონების მოვლა-შენახვასთან, კულტის მსახურთა დაქირავებასა და აღმასრულებელი ორგანოების შენახვასთან დაკავშირებული მიზნებისათვის.

48. ყოველგვარი საკულტო ქონება, როგორც შემოწირული, ასევე ნებაყოფლობითი შეწირულობით შეძენილი, აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი საკულტო ქონების საინვენტარო აღწერილობაში.

შეწირული საგნით სამლოცველო შენობის მორთვის ან საკულტო საგნების შემკობის მიზნით შემოსული ნებაყოფლობითი შეწირულობანი შეიტანება მთელი საკულტო ქონების საინვენტარო აღწერილობაში, რომელიც იმყოფება რელიგიური საზოგადოების უფასო სარგებლობაში.

ყველა დანარჩენი სახეობის ნატურით შემოსული ნებაყოფლობითი შეწირულობანი, რაც ზემოაღნიშნულ მიზნებს არ ხმარდება, აგრეთვე ფულადი შეწირულობანი, როგორც რელიგიური საზოგადოების სამლოცველო შენობის ან სადგომის საჭიროებისათვის (შეკეთება, გათბობა და ა. შ.), ისევე კულტის მსახურთა სასარგებლოდ, საკულტო ქონების საინვენტარო აღწერილობაში არ შეიტანება.

მორწმუნეთა ნებაყოფლობითი ფულადი შეწირულობანი აღირიცხება რელიგიური გაერთიანების აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოებულ შემოსავალ-გასავლის დავთარში.

49. სამლოცველო შენობისა და საკულტო ქონების მართვის მიზნებისათვის შეწირული თანხები შეიძლება დახარჯონ რელიგიურ საზოგადოებათა აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასრულებელი ორგანოების წევრებმა და მორწმუნეთა ჯგუფების რწმუნებულებმა.

50. რელიგიური კულტის შენობებში ან სპეციალურად მოუყობილ სადგომებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ ნორმებს, ჯგუფებში ან საზოგადოებაში გაერთიანებულ მორწმუნეთა სალოცავი შეკრებები ეწყობა ხელისუფლების ორგანოებისათვის შეტყობინებისა ან მათი ნებართვის გარეშე.

სპეციალურად მოუწყობელ სადგომებში მორწმუნეთა სალოცავი შეკრებების ჩატარება უნდა ეცნობოს სოფლად — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო ქალაქში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

51. არ დაიშვება რაიმე რელიგიური წეს-ჩვეულების ან საკულტო ცერემონიის შესრულება, აგრეთვე რაიმე საკულტო საგნების მოთავსება სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ დაწესებულებასა და საწარმოში.

ეს აკრძალვა არ ვრცელდება საავადმყოფოებსა და პატიმრობის ადგილებში მყოფ მომაკვდავთა ან მძიმე ავადმყოფთა თხოვნით ცალკე იზოლირებულ სადგომებში რელიგიურ-საკულტო წეს-ჩვეულების შესრულებაზე, აგრეთვე სასაფლაოებზე რელიგიური წეს-ჩვეულების შესრულებაზე.

52. რელიგიური მსვლელობა, რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების შესრულება ღია ცის ქვეშ, აგრეთვე მორწმუნეთა ბინებსა და სახლებში დაიშვება თითოეულ შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით.

შუამდგომლობა ღია ცის ქვეშ რელიგიური მსვლელობისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებისათვის ნებართვის გაცემის თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს ორი კვირით ადრე მაინც ცერემონიის დანიშნულ ვადამდე.

მომაკვდავთა ან მძიმე ავადმყოფთა თხოვნით რელიგიურ-საკულტო წეს-ჩვეულებების შესრულება მორწმუნეთა ბინებსა და სახლებში შეიძლება მოხდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის ან შეტყობინების გარეშე.

53. რელიგიური მსვლელობის შესახებ, რაც როგორც ქალაქებში, ისევე სოფლად საკულტო შენობების გარშემო შესასრულებელი ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილია, ხელისუფლების ორგანოების განსაკუთრებული ნებართვა ან შეტყობინება საჭირო არ არის იმ პირობით, თუ ეს მსვლელობა არ დაარღვევს ნორმალურ მოძრაობას ქუჩაში.

54. რელიგიური მსვლელობა, აგრეთვე რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების შესრულება რელიგიური გაერთიანების ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ დაიშვება თითოეულ შემთხვევაში იმ ორგანოს განსაკუთრებული ნებართვით, რომელმაც დადო ხელშეკრულება საკულტო ქონებით სარგებლობის შესახებ. ასეთი ნებართვა შეიძლება გაიცეს მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, რომლის რაიონშიც გათვალისწინებულია რელიგიური მსვლელობა, წეს-ჩვეულების ან ცერემონიის შესრულება.

55. რელიგიურ საზოგადოებებს, აგრეთვე მორწმუნეთა ჯგუფებს [illegible] ცხავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დაწესებული ფორმის ცნობებს უგზავნიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიების საქმეთა საბჭოს.

57. ზედამხედველობა რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობისადმი, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე მათ სარგებლობაში გადასაცემი საკულტო შენობისა და ქონების დაცვისადმი ეკისრება რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოებს, ამასთან, სოფლად ეს ზედამხედველობა ეკისრება სასოფლო საბჭოებსაც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს დამატებები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 107.** სასამართლო ხარჯების გადახდევინება

სასამართლო ხარჯები გადახდება მსჯავრდებულებს ან ამ ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო. თუ სამართალში მიცემული ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასამართლო განაჩენის გამოტანისას დაადგენს, რომ გადახდეს სამართალში მიცემულს სასამართლო ხარჯები, გარდა იმ თანხებისა, რაც თარჯიმანს გადაუხადეს. სასამართლოს, ამასთან, უფლება აქვს დააკისროს სასამართლო ხარჯები იმ სამართალში მიცემულსაც, რომელიც ცნობილია დამნაშავედ, მაგრამ სასჯელისაგან გათავისუფლდა.

თუ საქმეზე ცნობილია დამნაშავედ რამდენიმე სამართალში მიცემული, სასამართლო დაადგენს — რა რაოდენობით უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები თითოეულ მათგანს; ამასთან, მან მხედველობაში უნდა მიიღოს ამ პირთა ბრალი, პასუხისმგებლობის ხარისხი და ქონებრივი მდგომარეობა.

სასამართლო ხარჯებს, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ან სამართალში მიცემული გამართლდა, ან თუ ის პირი, ვისაც ეს ხარჯები უნდა დაეკისროს, ხელმოკლეა, აგრეთვე სამართალში მიცემულის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნაშავედ ცნობის შემთხვევაში თარჯიმანისათვის თანხის გადახდასთან დაკავშირებულ სასამართლო ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო.

თუ სამართალში მიცემული გამართლებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები მთლიანად ან ნაწილობრივ დააკისროს იმ პირს, ვისი საჩივრითაც დაიწყო საქმის წარმოება.

თუ საქმე შეწყდა ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო, სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები დააკისროს პროცესის ერთ ან ორივე მონაწილეს".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 23 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შეცვლისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის ტერიტორიაზე სავალუტო ფასეულობით გარიგების შესახებ" და „უცხოეთის ვალუტითა და საგადასახადო დოკუმენტებით უკანონო ოპერაციებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები:

ა) 132-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სავალუტო ფასეულობანი: უცხოური ვალუტა (ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები, მონეტები); საგადასახადო დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, აკრედიტივები და სხვ.) და საფონდო ფასეულობანი (აქციები, ობლიგაციები და სხვ.) უცხოური ვალუტით; საბანკო საგადასახადო დოკუმენტები მანეთებში (ჩეკები და სხვ.), რომლებიც შეძენილია უცხოური ვალუტით ასეთ ვალუტად მათი გადაქცევის უფლებით; ძვირფასი ლითონები — ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პლატინის ჯგუფის ლითონები (პალადიუმი, ირიდიუმი, როდიუმი, რუთენიუმი და ოსმიუმი) ყოველგვარი სახითა და ყოველგვარ მდგომარეობაში და ბუნებრივი ძვირფასი ქვები ნედლი და დამუშავებული სახით (ალმასი, ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, აგრეთვე მარგალიტი), გარდა ასეთი ლითონებისა და ქვების საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და ასეთი ნაწარმის ჯართისა, შეიძლება შეძენილ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში";

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 269-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაჩუქრობის ხელშეკრულება ხუთას მანეთზე მეტი თანხისა და ორმოცდაათ მანეთზე მეტი ღირებულების სავალუტო ფასეულობათა ნაჩუქრობის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით“.

2. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან 165^2 მუხლი.

3. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილიდან ციფრი „165^2“.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 30 ივნისის გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“ („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები,“ 1970 წ., № 6, მუხ. 93).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 23 მარტი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

29 პროფესორ ო. მ. ბაკურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ოთარ მიხეილის ძე **ბაკურაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 11 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

30 პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეონარდ ლეონარდის ძე **დეკაპრელევიჩი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

31 ამხ. მ. თ. თოდრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თევზის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. მიხეილ თომას ძე **თოდრაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

32 პროფესორ ა. ჯ. მენაღარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ათინოგენ ჯამულეთის ძე **მენაღარიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1977 წლის 11 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

33 ამხ. პ. ა. ორჯონიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. პავლე ალექსანდრეს ძე **ორჯონიკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

34 კინორეჟისორ შ. მ. გედევანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კინორეჟისორი შალვა მიხეილის ძე **გედევანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

35 ამხ. მ. ა. კორძახიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ქართულ ენაზე მომზადებისა და გამოცემის სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი მირიან ალექსანდრეს ძე **კორძახია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

36 ამხ. რ. გ. ლეიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. რობერტ გიორგის ძე **ლეიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

37 ამხ. ი. რ. ხვედელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ამხ. იაკობ რომანის ძე **ხვედელიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 24 მარტი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 21 მარტის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1081 კაცი.

ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონში . . .	24
„ კიროვის რაიონში	73

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის კალინინის რაიონში	162
„ საქარხნო რაიონში	118
ქ. გორში	67
ქ. რუსთავში	234
ქ. ფოთში	128
ადიგენის რაიონში	23
ასპინძის „	35
ზუგდიდის „	8
ლენტეხის „	1
მაიაკოვსკის „	4
მცხეთის „	41
ქარელის „	10
წალენჯიხის „	48
წულუკიძის „	28
ცაგერის „	14

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულებით გაუქმდა გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფელი გოჩა-ჯიხაიში მიეკუთვნა გუბის სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი პატარა ჯიხაიში — ქუტირის სასოფლო საბჭოს.

ნახახულევის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კონტუათი და მიეკუთვნა მათხოჯის სასოფლო საბჭოს.

გოჩა-ჯიხაიშის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი შესაბამისად გუბისა და ქუტირის სასოფლო საბჭოებში, ხოლო სოფელ კონტუათიდან ნახახულევის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს — მათხოჯის სასოფლო საბჭოში.